

თაბარ ვაშაბიძე

**ზმნის აღწერით ფორმათა ორგანულით შენაცვლების
კანონზომიერებისათვის კვლე ქართულში**

ზმნის აღწერითი ფორმები ძველ ქართულში უპირატესად მაშინ დასტურდება, როდესაც ორგანული წარმოება ჭირს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელურ კომპონენტებს, რომელთა სინთეზური წარმოებით გაზმნავება არ ხერხდება. ესენია ძირითადად: **ა.** ნათესაობის სემანტიკის გამომხატველი სახელები: **დედა იქმნა:** ვინაღ მოწაფისა მის ურწმუნოებად ჩუენისა სარწმუნოებისა **დედა იქმნა** (სინ., 171); **მამა იქმენ:** ვითარმედ **მამა იქმენ** ობოლთა (კესარ., 194); **წულ-იქმნა:** და ყრმა **წულ-იქმნა** ამისაგან მისდა, რომელსაც ავიად სახელ-სდვა (ფლავ., 37); **სძალ იქმნების:** დღეს მაცუალი იგი შეუწუგელი ზეცისა **სძალ იქმნების** (კესარ., 201) და სხვა; **ბ.** რელიგიური რეალიების აღმნიშვნელი სიტყვები: **მონაზონ იქმნა:** და მუნ **მონაზონ იქმნა** და ათანასი დიდისა პატივსა უყოფდა ორთავე (აგ., IV, 341); არამედ მეყსულად **მონაზონ იქმნა** (აგ., III, 223); და მიძნაძოროს **მონაზონ იქმნა** (აგ., I, 281); ძმად ვინმე **მონაზონ იქმნა** (მოსხ., 85); არამედ წარვიდა უდაბნოდ და **მონაზონ იქმნა** (იქვე, 35); **პატრეაქი იქმნა:** რაჟამს **პატრეაქი იქმნა** იგი, აღაშწნა მონასტერი დიდი მონაზონთათჳს (იქვე, 76); **მამად იქმნა:** ვითარმედ დაყუდებითაცა ცხოვრება წარვლო და **მამად იქმნა** დიდისა ლავრისა (აგ., III, 126); **ანგელოზ იქმნის:** ხოლო შრომითა მით **ანგელოზ იქმნის** (სინ., 113); **იქმნა ხუცეს:** რამეთუ არ უნდა მას, რათამცა **იქმნა** იგი **ხუცეს** და არცაღა ინება (კიმ., II, 152); **ეპისკოპოს ჰყოფენ:** ხოლო წმიდამან, ვითარცა ცნა მიზეზი შეკრვისაჲ, და რამეთუ **ეპისკოპოს ჰყოფენ**, შეუძნდა ფრიად (აგ., II, 239); **მონასტერ ყო:** და განიზრახა, რათამცა **მონასტერ ყო** ადგილი იგი (კიმ., I, 211); **საყდარ იქმნების:** დღეს საყდარი ქუეყანისაჲ ზეცისა **საყდარ იქმნების** (სინ., 201); **ვიქმენით ტაძარ:** და **ვიქმენით ტაძარ** სულისა წმიდისა (იქვე, 140); **გ.** მცენარეთა და ცხოველთა (აგრეთვე ურჩხულთა) გამომხატველი სახელები: **იქმნეს ვარდ:** ყოველივე **იქმნეს ვარდ** მეწამულ (აგ., IV, 115); **იქმნა ყუავილ:** რომელი სურნელებასა ფშოდა ღმრთის-მსახურებისასა და **იქმნა** ყოვლითურთ **ყუავილ** (აგ., III, 210); **ძაღლ იქმნნეს:** ძენი **ძაღლ იქმნნეს** და ძაღლნი ძე იქმნნეს (შატბ., 388); **იქმნა ვეშაპ:** და **იქმნა** იგი **ვეშაპ** (ძვ. აღთქ., 74) და სხვა; **დ.** ქვეყნის, ქალაქის, სახლის, კარვის, გზის, ზღვისა თუ მდინარის აღმნიშვნელი სიტყვები: **მამულ-ეყო:** და რამეთუ ჰეშმარიტად წმიდაჲ ესე ქალწული ნათესავისაგან დავითისა იყო და ბეთლემი **მამულ-ეყო** და იოსებს მსგავსად სჯულისა ნათესაობით სამართლად მითხოვილ იყო (სინ., 12); **ქალაქ ყო:** ქართა სულისა წმიდისაჲთა უდაბნოდ **ქალაქ ყო** სიმრავლით მონაზონთაჲთა (კიმ., II, 191); **ქალაქ იქმნა:**

რამეთუ **ქალაქ იქმნა** მოღვაწეთა მიერ (აგ., VI, 299); **იქმნა ქალაქი**: და უდაბნოდ **იქმნა ქალაქი** მონაზონთაგან (მ. ცხ., 18); **ყვნა სახლ**: და **ყვნა** ძუალნი მათნი **სახლ** შესავედრებელ მრავალთა (სინ., 255); **კარავ-იქმნების**: დღეს კარავი ქუეყანისა ზეცისა **კარავ-იქმნების** (იქვე, 201); **გზა-მიყავ**: უფალო, სადა **გზა-მიყავ** მე თხრობად (აპოკრ., 25); **გზა-უყავ**: **გზა-უყავ** წინაშე მისსა და დაჰნერგენ ძირნი მისნი და აღავსო ქუეყანად (ფსალმ., 216); **გზა-ვიქმენ**: რამეთუ **გზა-ვიქმენ** ყოვლისა ცოდვისა და მტერისა მიერ (მ. სწ., 263); **ზღუა იქმნა**: და აღმოაცენნა სიმრავლენი წყალთანი და **ზღუა იქმნა** ქუეყანად ვმელი (აგ., III, 258); **წყარო მეყავნ**: **წყარო** ცხოვრების **მეყავნ** ჩუენ წმიდად ქალწული (სინ., 21) და სხვა; ე. კულტურის რეალიები: **წიგნ იქმნეს**: აწ სამნი ესე ერთობის **წიგნ იქმნეს**, ხოლო მესამე იგი იყო აღბეჭდვითა სულისა წმიდისათა (შატბ., 250)...

ზმნის აღწერითი ფორმები გამოიყენება მაშინაც, როცა გასაზმნავებელი სახელი წარმოქმნილი ან კომპოზიტია. ბუნებრივია, მათგან (წარმოქმნილი და კომპოზიტი სახელებისაგან) ორგანულად ზმნის წარმოება ჰირს, მაგალითად: **ჰასაკოვან-იქმნა**: ვინამთგან **ჰასაკოვან-იქმნა** (აგ., III, 269); **სახელოვან იქმნა**: ხოლო უფრომასად **სახელოვან იქმნა** წყობასა შინა სულთა უკეთურთასა (აგ., IV, 331); **სახელოვან ყო**: ესეცა აღიდა ღმერთმან და **სახელოვან ყო** ყოვლითა სათნოებითა (აგ., II, 41); **ნაკლულევან იქმნეს**: რომლისათჳს **ნაკლულევან იქმნეს** ამის უნდომსაგანცა (აგ., IV, 180); **გვრგვინოსან იქმნების**: დღეს **გვრგვინოსან იქმნების** წმიდად და დიდებული ღმრთისმშობელი მარიამ (სინ., 74); **გვრგვინოსან ვყო**: რაათა მით **გვრგვინოსან ვყო** თავი შენი (მოსხ., 1); **უბატიო ვიქმენ**: ხოლო მან იხილა რაჲ, ვითარმედ მუცელ ქმნულ არს, **უბატიო ვიქმენ** წინაშე მისა (ძვ. აღთქ., 106); **ნამგლეგ იქმნა**: მტერმან ბოროტმან აღიტაცა და ცხოვარი იგი ქრისტესი **ნამგლეგ იქმნა** (აგ., I, 78); **ზარგანდილ იქმნა**: და ხედვიდეს სასწაულთა მათ და საკურველებათა ხილვითა **ზარგანდილ იქმნა** დედოფალი (იქვე, 100); **გულბურობილ იქმნა**: **გულბურობილ იქმნა** და იწყო ჰამად (მ. ცხ., 248); **გულსავსე მყო**: უკუეთუ არა **გულსავსე მყო** მე (აგ., III, 240); **რჩულისმდებელ ყო**: ამან **რჩულისმდებელ ყო** მოსე (კესარ., 16); **ძვრნილულ ჰყოფენ**: რაათა მიერ მიმართებულნი **ძვრნილულ ჰყოფენ** მეფობასა ასანოდსსა (ფლაგ., 43) და სხვა.

აღწერით ფორმათა გამოყენების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ის გარემოებაც, რომ ხშირად ძნელდება ზმნის ორგანულად წარმოება დრო-კილოთა II სერიის ნაკვთებში, შდრ.: **ვმობს**, **ვმობდა**, **ვმობდეს**, მაგრამ **ვმა-ყო**: და **ვმა-ყო** ყრმამან მან (აპოკრ., 143); ამან გლახაკმან **ვმა-ყო** და უფალმან ისმინა და ყოველთა ჰირთა მისთაგან ივსნა იგი (ფსალმ., 79). აქვე აღვნიშნავთ: თუ სინთეზური ფორმა სასხვისო ქცევისაა (**უვმობს**), მას წყვეტილშიც ეძებნება ორგანული ვარიანტი (**უვმო**), მაგ.: **ვმა-ყო**: **ვმა-ყო** მას ღმერთმან მეტყუელმან (ძვ. აღთქ., 108), შდრ.: **უვმო** ქმარსა თჳსსა (ძქელ, 570); ჰპოე რაიმე საჭმელი და მე არა **მივმე** (იქვე).

ანალოგიური ვითარება გვაქვს შემდეგ ფორმებშიც: **ზატიკობს**, **ზატიკობდა**, **ზატიკობდეს**, მაგრამ — **ზატიკი-ყო** (ან **ყო ზატიკი**): სადა-იგი დასხნეს ათორმეტნი იგი ქვანი, სადაცა-იგი **ყო ზატიკი** იესუ (შატბ., 174);

შდრ.: ამიერიდან **ვზატიკობდეთ** ნუ ცომითა მით ძუელითა (ძქელ, 162); **დადადებს, დადადებდა, დადადებდეს**, მაგრამ — **დადად-ყო: დადად-ყო** ვმითა დიდითა და თქვა (აპოკრ., 143); სიხარულით **დადად-ყო** და თქუა (ძლისპ., 100)...

აღწერითი ფორმები დასტურდება მაშინაც, როცა ორგანული ვარიანტი არ ხერხდება ენიანი ვნებითის წარმოება, მაგალითად: **სარგებელ-ეყო: სარგებელ-ეყო** მას (აგ., III, 67); **მფარველ-ეყო:** და ღმერთი **მფარველ-ეყო** მას ყოველთა დღეთა და საშუალო ბეჭთა მისთა განისუენა (შატბ. კრ., 213); **მფარველ-ექმნა:** გამოჩნდა და **მფარველ ექმნა** მას უფალი (იქვე, 214); **მოწყალე-ექმნა:** **მოწყალე-ექმნა** ღმერთი ხრწნილებასა და უბადრუკებასა ჩუენსა (მეტაფრ., 104)...

ზოგჯერ აღწერით ფორმას (იმის მიხედვით, თუ რა შინაარსითა იგი გამოყენებული წინადადებაში) ერთ შემთხვევაში მოეპოვება შესაბამისი ორგანული წარმოების ვარიანტი, სხვა შემთხვევაში — არა. მაგალითად, თუ **უარის-ყოფა** დასტურდება „უარყოფის“ მნიშვნელობით, მას არ ეძებნება სინთეზური ფორმა: ხოლო შენ ღმერთი ჭემმარიტი **უარ-ჰყავ** (აგ., I, 15); მამა შვილსა **უვარ-ჰყოფდა** (იქვე, 222). თუ **უარის-ყოფა** გამოხატავს „უარობის“, „უარის თქმის“ შინაარსს, მას შესაძლებელია დაეძებნოს ორგანული ვარიანტი: ვითარცა ყოველნი **უვარებდეს** (ძქელ, 420); ვინაე განსარინებელსა მას აერსა თუალთა მიდგმად **უვარებდეს** (იქვე).

შინაარსი განაპირობებს **სრულ-ყო** ფორმის შესაბამისი ორგანული წარმოების არსებობასაც. თუ **სრულ-ყო** გამოყენებულია „დასრულების“ ან „შესრულების“ მნიშვნელობით, მას ეძებნება შესაბამისი სინთეზური ვარიანტი (**სრულ-ყო — დაასრულა, შეასრულა**). თუ **სრულ-ყო** ფორმა წარმოაჩენს „სრულყოფის“ (შდრ.: **სრულყოფილი**) შინაარსს, მას ორგანული ვარიანტი არ მოეპოვება: და **სრულ-გყავნ** ყოვლითა კურთხევითა (აგ., III, 137).

ზოგჯერ აღწერით ზმნას არ ეძებნება სინთეზური ვარიანტი იმის გამო, რომ მოცემული ფორმისაგან ჭირს ობიექტური წყობით ორგანული წარმოება: არა **ჰუებულ-მყო** ღმერთმან მისგან (მ. ცხ., 167); და ამისთვის უმეტესად ვჰმადლობ ღმერთსა, რომელმან არა **ჰუებულ-მყო** სულიერისაგან სიყუარულისა შენისა (აგ., II, 11).

სინთეზური ვარიანტები არ მოეპოვება აგრეთვე იმ ტიპის ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს, რომლებიც გრამატიკულად აღწერით ფორმებს უტოლდება: **მუცლად-იღო:** ქალწულმან **მუცლად-იღო** და შვა ძმ (ძლისპ., 176); **გულად-იღო:** ღმრთისა მიერ **გულად-იღო** ქრისტე (კიმ., II, 155); **ყურად-იღეთ:** ისმინეთ მეფეთა და **ყურად-იღეთ** (აგ., VI, 20); **კუალად-ეგო:** და მეყსეულად განიკურნა და **კუალად-ეგო** თუალი მისი ადგილსავე თვსსა (ოქრობ., 20); **ინაჯ-იდგმენ:** რამეთუ სიკუდილითა მათითა **ინაჯ-იდგმენ** ტაბლასა მას ზედა უფლისასა (მ. სწ., 38); **გულს-ედგა:** ჰეროდისა **გულს-ედგა** მისი და უნდა მოკლვად მისი (ძქელ, 102); **თუალ-ახუნე:** უკეთუ **თუალ-ახუნე** და სიმართლით არა გაჰბჭო, კაცის-კლვად არს ესე (მ. სწ., 53); **დადად-გიგდო:** **დადად-გიგდო** კანჯარმან (ძქელ, 460); **ადგილ-იბყრა:** **ადგილ-იბყრა** მუნ, სადა იყო ორ დღე (იქვე, 2); **პატივ-უბყრა:** წმიდასა ამას ბერსა დიდად **პატივ-უბყრა**

და ნუგეშინის-სცა (აგ., II, 199); **თუალ-ჰყოფდეს**: **თუალ-ჰყოფდეს** თუალითა მათითა (ძქელ, 183); **თავ-ყო**: ხოლო ისე **თავ-ყო** და ითხოვა მისგან კურნება (აგ., IV, 401)...

აღწერით ფორმათა დიდ ნაწილს მოეპოვება შესაბამისი ორგანული წარმოების ვარიანტები, მაგრამ მათ შორის (აღწერით და ორგანულ ფორმებს შორის) მნიშვნელოვანი სხვაობაა.

ერთ შემთხვევაში სხვაობა სემანტიკურია. მაგალითად, გარდაქცევის სემანტიკა თითქოს ანალიზური ვარიანტებით უფრო წარმოჩნდება: **ღმერთ იქმნა**: დღესა კურიაკესა კაცი **ღმერთ იქმნა** (მ. სწ., 218); შდრ.: ერთმან ორთა ამათგანმან განაღმრთო და მეორე იგი **განიღმრთო** (ძქელ, 73); **მეფე-იქმნა**: იგი ერთი **მეფე-იქმნა** (აგ., II, 170); შდრ.: ძე მისი ირომოს **განმეფნა** (ფლავ., 23); **კაც იქმნა**: რამეთუ ღმერთი იყო და კაცთ-მოყუარებისათჳს **კაც იქმნა** (სინ., 11); შდრ.: **განკაცნა** რად სიტყუად (ძქელ, 58); **ცხოველ-ყვნა**: უფალო, სიტყუამან შენმან გუამნი უძლურთანი **ცხოველ-ყვნა** (აგ., I, 285); შდრ.: რომელმან **განაცხოველნის** მკუდარნი (ძქელ, 77) და სხვა.

ხშირად სხვაობა აღწერით და ორგანულ ფორმებს შორის გრამატიკულია, მაგალითად, სინთეზური ვარიანტი ენიანი ვნებითის ფორმაა, ხოლო აღწერითი წარმოების ზმნური კომპონენტი — სასხვისო ქცევისა (უ- პრეფიქსიანი): **დევნა-უყო** (შდრ.: **დაედევნა**): შეიჭურა საჭურველითა მარტოდ და **დევნა-უყო** (აგ., I, 263); და **დევნა-უყო** კუალსა მათ მეფეთასა სამას ათურამეტითა ნიჟუგითა (ლექც., 24); და წარიყვანა მის თანა ყოველნი ძმანი მისნი და **დევნა-უყო** იაკობს გზასა შუდისა დღისასა (ძგ. აღთქ., 31); **ბრძოლა-უყო** (შდრ.: **შეებრძოლა**): და მივიდა და **ბრძოლა-უყო** სხუასა ნათესავსა მისსა (მატბ., 288)...

თუ „იქმნა“ მეშველზმნიანი აღწერითი ფორმის სახელური კომპონენტი -ილ ან -ულ სუფიქსიანი საობიექტო მიმღებობაა, შესაბამისი ორგანული წარმოების ვარიანტები ძირითადად ი- პრეფიქსიანი ზმნები იქნება. ეს უკანასკნელნი შეიძლება იყოს როგორც ინიანი ვნებითის, ისე სათავისო ქცევის ფორმები: **დაფარულ იქმნა** (**დაიფარა** იგი, შდრ.: **დაიფარა მან იგი**): **დაფარულ იქმნა** (დაიფარა იგი): რამეთუ **დაფარულ იქმნა** იგი ქუაბსა მას შინა (აგ., III, 219); არამედ ურჩებისაგან სიჩქოდსაცა იგი სიყუარული **დაფარულ იქმნა** (ფსევდომაკარ., 237); **შეწყნარებულ იქმნა** (შდრ.: **შეიწყნარა** მან იგი): **შეწყნარებულ-იქმნა** გლახაკისა ვისმე მიერ (აგ., III, 232); **გამოყვანებულ იქმნა** (შდრ.: **გამოიყვანეს** მათ იგი): ქრისტეანეთა მიერ საპყრობილით **გამოყვანებულ იქმნა** (აგ., IV, 349) და სხვა.

სხვა შემთხვევაში ორგანული ვარიანტები დონიანი ან -ენ სუფიქსიანი ვნებითის ფორმებია: **განკეთრებულ იქმნა** (შდრ.: **განკეთროვნდა**): ვითარ-იგი ერთისა სიტყუსათჳს, რომელი-იგი თქუა შურითა მოსესათჳს, მყის **განკეთრებულ იქმნა** (მ. სწ., 269); შდრ.: მარიამ **განკეთროვნდა**, ვითარცა თოვლი (ძქელ, 58); **განძლიერებულ იქმნა** (შდრ.: **განძლიერდა**): ვინადცა **განძლიერებულ იქმნა** საღმრთოდსა ძალისა მიერ (აგ., III, 131); შდრ.: **განძლიერდა** სიყმილი ქუეყანასა ზედა (ძქელ, 78); **კაც იქმნა** (შდრ.: **განკაცნა**): არამედ ღმერთი **კაც-იქმნა** ქალწულისაგან (სინ., 34); შდრ.: **განკაცნა** რად

სიტყუად (ძქელ, 58); **იქმნა ჭაბუკ** (შდრ.: **განჭაბუკნა**): და აღორძნდა და **იქმნა ჭაბუკ** (მ. ცხ., 10); შდრ.: აღეხუნიან თუალნი მისნი და **განჭაბუკნის** (ძქელ, 80)...

ზოგჯერ სინთეზური ვარიანტი ენიანი ვნებითის ფორმაა: **მიმსგავსებულ იქმნა** (შდრ.: **ემსგავსა**): რომელსა იგი **მიმსგავსებულ იქმნა** ბუნებაჲ ჩუენი (შატბ., 83); შდრ.: **ემსგავსა** მათ (ძქელ, 296)...

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ: ძველ ქართულში ზმნის აღწერითი ფორმები ძირითადად მაშინ დასტურდება, როცა ორგანული წარმოება (სხვადასხვა მიზეზის გამო) ჭირს. სხვა შემთხვევაში ანალიზურ ვარიანტებს მოეპოვება შესაბამისი სინთეზური ფორმები, მაგრამ, ბუნებრივია, მათ შორის სემანტიკური ან გრამატიკული სხვაობაა.

წყაროები

აგ., I. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV-X სს.), თბილისი, 1964.

აგ., II. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბილისი, 1967.

აგ., III. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, მეტაფრასტული რედაქციები (XI-XIII სს.), თბილისი, 1967.

აგ., IV. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV. — სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), თბილისი, 1968.

აგ., VI. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI (მარტირიკა), თბილისი, 1980.

აპოკრ. — ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები X-XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1970.

გამოსღვ. — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი შესაქმისაჲ გამოსღვათაჲ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1989.

კესარ. — ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა და „კაცისა აგებულებისათჳს“ X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით; გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1964.

კიმ., I. — კიმენი, ტ. I, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ტფილისი, 1918.

კიმ., II. — კიმენი, ტ. II, ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, თბილისი, 1946.

ლექც. — ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, ტ. I, ნაწილი I: ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები, თბილისი, 1987.

მეტაფრ. — ძველი მეტაფრასტული კრებულები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნ. გოგუაძემ, თბილისი, 1986.

მოსხ. — იოანე მოსხი, ლიმონარი; ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1960.

მ. სწ. — მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით: ძველი ქართული ენის ძეგლები, 8, თბილისი, 1955.

მ. ცხ. — მამათა ცხოვრბანი, ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა, გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1975.

ნეგმ. ძლისბ. — ნეგმირებული ძლისპირნი: ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, III; გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მ. კიკნაძემ, თბილისი, 1982.

ოქრობ. — იოვანე ოქროპირის ცხოვრების ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ, თბილისი, 1986.

სინ. — სინური მრავალთავი 864 წლისა: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1959.

ფლაგ. — იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი; ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. მელიქიშვილმა, თბილისი, 1988.

ფსალმ. — ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მ. შანიძემ, თბილისი, 1960.

ფსევდომაკარ. — ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია: ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, IV; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, თბილისი, 1982.

შატბ. — შატბერდის კრებული X საუკუნისა: ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, I; გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979.

ძვ. აღთქ. — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი 978 წლის ხელნაწერის მიხედვით, დაბადებისა—გამოსლვათაჲ (ტ. I, ნაკვ. 1); გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1947.

ძლისბ. — ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით; გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1971.

ძქელ — ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ი. აბულაძე, თბილისი, 1973.

TAMAR VASHAKIDZE

Towards the Regularity of Organic Substitution of the Descriptive Forms of Verbs in Old Georgian

S u m m a r y

In Old Georgian descriptive forms are mainly evidenced when the organic formation is difficult. In such case nominal components which cannot be verbing through synthetic formation, have decisive importance. These are: a) the nouns expressing genitive semantics (*deda-ikmna, mama-ikmna...*), b) the words expressing religious realis (*sagdar-ikmna, monasṭer-ikmna...*), c) the names expressing plants and animals (*qvavil-ikmna, ორბ-ikmna...*), d) the words denoting country, city, house (*mamul-eḡo, kalak-ḡo, ḡo-saxl...*), e) realis of culture (*ḡgn-ikmna*) and others.

One of the main reasons of using the descriptive forms is the fact that organic formation of a verb in the II series of tense and mood is often difficult: *qmobs, qmobda, qmobdes*, but: *qma-ḡo*.

In other case analytical verbs have corresponding synthetic variants, but there is semantic or grammatical difference among them.